ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 14

"18" თებერვალი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.08.001.044.01.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, №5-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.08.001.044.01.004) მდებარე, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 დეკემბრის №19.1292.1616 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მიხეილ ხერგიანის ქუჩა, ჩიხი II, №5-ში, მეორე სართულზე, ბინა №4-ში მდებარე 73.26 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.15.08.001.044.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ლია გვარაძისა (პ/ნ 01017039627) და ნატალია პართენაშვილისათვის (პ/ნ 20001000353) თანასაკუთრებაში გადაცემისა და მათთან გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე